

გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს  
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

შპს „ევრობეტონი“ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქებაანში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, გეგმავს თევზის მოშენების მიზნით აკვაკულტურის მეურნეობის (წყლის შესაკავებელი ნაგებობის) მოწყობასა და ექსპლუატაციას. მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი შეადგენს 134 000 კვ.მ-ს (13.4 ჰა). ამ ეტაპზე კომპანია გეგმავს 6 ტბორის მოწყობას, თითოეული ზომით: სიგრძე - 100 მ, სიგანე - 70 მ, სიღრმე - 1.5 მ, შესაბამისად ტბორების მიერ შეკავებული წყლის რაოდენობა იქნება 63 000 მ<sup>3</sup>. სატბორე მეურნეობაში მოშენებული თევზის რაოდენობა პირველ ეტაპზე იქნება დაახლოებით 10 ტონა წელიწადში, თუმცა კომპანია სამომავლოდ გეგმავს წელიწადში 60 ტონა თევზის მოშენება-რეალიზაციას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-II დანართის, პირველი პუნქტის, 1.6 ქვეპუნქტის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურას ექვემდებარება წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა (წყლის ცხოველური ორგანიზმებისა და მცენარეების მოშენება). ამავე კოდექსის პირველი დანართის 21-ე პუნქტის შესაბამისად, სკოპინგის პროცედურას ექვემდებარება კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ<sup>3</sup>-ზე მეტია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიამ გაიარა სკოპინგის პროცედურა, რომლის საფუძველზეც სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 29 აგვისტოს N439/ს ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა N24. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ იქნა გზშ-ის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - გზშ-ის ანგარიში ნაბეჭდი 1 ეგზ. და ელ. ვერსია;

არატექნიკური რეზიუმე ნაბეჭდი 1 ეგზ. და ელ. ვერსია;

მოსაკრებლის დამადასტურებელი ქვითარი;



ტყის აღრიცხვის მონაცემები ელ. ვერსია;  
Shp ფაილები.

პატივისცემით,

შპს „ევრობეტონის“ დირექტორი  
გიორგი გოგოლაური

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'Giorgi Gogolauri', written in a cursive style.